

# განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია/Educational and Developmental Psychology

დავით ქათამაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსუდან კეჭაყმაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შორენა მესხიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მშობლებსა და მოზარდს შორის ურთიერთობის თავისებურებების შესწავლა

DOI: 10.52340/erp.2024.05.42

## აბსტრაქტი

ჩვენი კვლევა ეხება მშობლებსა და მოზარდებს შორის ურთიერთობების თავისებურებების შესწავლას. ეს საკითხი აქტუალურია, რადგან გარდატეხის ასაკში ხდება ფიზიოლოგიური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცვლილებები, რაც შემდეგ იწვევს მოზარდის მშობლებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობების ცვლილებებსაც. ჩვენი დაინტერესება გამოიწვია იმან თუ რას ფიქრობენ მშობლები თავიანთ მოზარდ შვილებზე, რა პრობლემებს აწყდებიან მათთან ურთიერთობისას და როგორ ცდილობენ გადაჭრან ეს გამოწვევები. ეს საკითხი არამარტო საქართველოში არამედ მთელს მსოფლიოშია აქტუალური. ამიტომაც ჩვენ ვეცადეთ საკითხის უკეთ შესწავლა.

ჩვენ გამოვიკითხეთ მოზარდები და მშობლები. კვლევისას მშობლებთან გამოვიყენეთ “ვარგას მშობლისა და შვილის ურთიერთობების შესასწავლი ტესტი”, ხოლო მოზარდებისთვის, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შევიმუშავეთ ანკეტა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 160-მა მშობელმა და 185-მა მოზარდმა. ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში: სავარაუდოა, რომ მშობლის მოსაზრებები და დამოკიდებულებები შვილთან დაკავშირებით ახდენს გავლენას მშობლისა და მოზარდის ურთიერთობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** მოზარდობის ასაკი, მოზარდი, მშობელი და ურთიერთობები.

საკითხის, პრობლემის არსი. მშობლებსა და მოზარდს შორის ურთიერთობის თავისებურებების შესწავლა საინტერესოა ყველა დროში, რადგან მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობების სითულები ყველა თაობაში იჩენს თავს.

მოზარდობის ასაკი – ესაა 10-11 წლიდან 15-16 წლამდე პერიოდი და მოიცავს IV-VIII კლასებს. ამ ასაკს გარდამავალ ასაკსაც უწოდებენ. ეს პერიოდი ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პერიოდია, როცა მოზარდი ჯერ კიდევ ნახევრად ბავშვი და ნახევრად მოზრდილია. ბავშვობა უკვე გასულია, ხოლო მოწიფულობა ჯერ არ დამდგარა. სიცოცხლის არცერთ პერიოდს არ გააჩნია იმდენი სახელწოდება, რამდენიც გარდამავალ ასაკს. გარდამავლის გარდა მას უწოდებენ აგრეთვე გარდატეხის, კრიზისულ, ძნელ და კრიტიკულ ასაკსაც. ამ პერიოდში ხდება გადასვლა ერთი ეპოქიდან მეორეში (ბავშვობიდან მოწიფულობაში).

### **ჰიპოთეზა, მიზანი და ძირითადი ამოცანები.**

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, გავიგოთ არსებობს ვარაუდი რომ მშობლის მოსაზრებები და დამოკიდებულებები შვილთან დაკავშირებით ახდენს გავლენას მშობლისა და მოზარდის ურთიერთობაზე.

ჩვენ კვლევის კონკრეტულ მიზანს კი წარმოადგენს, დავადგინოთ:

- რა პრობლემებს აწყდებიან მოზარდები და მშობლები ურთიერთობებში;
- რამდენად ახდენს გავლენას თბილი ოჯახური გარემო მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობაზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესასრულებლად დავისახეთ სხვადასხვა ამოცანა:

- შესაბამისი ლიტერატურის მოძიება და დამუშავება.
- უცხო ენოვანი სტატიების, წიგნების მოძიება და თარგმნა.
- შესაბამისი ცდისპირების მოძიება.
- კონკრეტული კვლევის ჩატარება.
- მიღებული შედეგების დამუშავება და ანალიზი.
- დასკვნის გამოტანა.

## ლიტერატურის მიმოხილვა

მოზარდების ფიზიკური განვითარების დამახასიათებელია ე.წ., **ზრდის ნახტომი**“, რაც გამოიხატება სხეულის სიგრძის ინტენსიურ ზრდაში. სიმაღლის ასეთი ინტენსიური ზრდა (8-10 სმ) აღინიშნება 13-15 წლიდან, ხოლო შემდგომ ზრდის ეს ტემპი ნელდება.

სქესობრივი მომწიფების პირველი ნიშნების გამოვლინებასთან ერთად ირღვევა პროპორციულობა მოზარდის სხეულის აგებულებაში. ეს პროპორციული და ჰარმონიული განვითარება დამახასიათებელი იყო გვიანი ბავშვობისათვის. ახლა კი მოზარდი სწრაფად იწყებს ზრდას სიმაღლეში, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, იზრდება კიდურები, ხოლო თვითონ სხეული ისევ წინანდელ ზომებს ინარჩუნებს. ეს იწვევს მოზარდის სხეულის აგებულების პროპორციის დარღვევას. ამ მოვლენას ეწოდება **პუბერტატელის დისჰარმონია**. დისჰარმონიის პროცესს აძლიერებს სახის ნაწილების სიდიდეთა ურთიერთმიმართების დარღვევაც. როგორც ცნობილია, ძალიან იზრდება ცხვირი, ნიკაპი და ყურები, რის გამოც მოზარდის წინანდელი სილამაზე და პროპორცია ირღვევა. ამასთან, სხეულის მოძრაობებიც ჰკარგავენ სიზუსტეს და მოზარდები აჩქარებულნი და ნერვიულნი ხდებიან. საკუთარი სხეულის ასეთი ნაკლოვანების გაცნობიერება მოზარდში იწვევს უკმაყოფილებას. იმის გამო, რომ მოზარდი საკუთარ მოძრაობებს თავისუფლად ვერ ფლობს, იგი ხშირად რაიმეს წამოედება, გატეხს ან გააფუჭებს. მოზარდმა რომ იცოდეს, რომ ეს მდგომარეობა დროებით მოვლენას წარმოადგენს და იგი ასაკთან ერთად გაივლის, მტკივნეულად არ განიცდიდა ამას. მშობლებმა და განსაკუთრებით, მასწავლებლებმა ეს შესაბამისი ტაქტიკით უნდა აუხსნან მათ.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარების ამ ხარვეზებს და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ინტენსიური ფუნქციების დაწყებას მოზარდი მიჰყავს ნერვული სისტემის ზოგიერთ დარღვევამდე, რომელიც მართალია, სწრაფად გაივლის, მაგრამ მის ფსიქიკაზე სტოვებს გარკვეულ კვალს. ზოგიერთ მოზარდს აღენიშნება აწეული აგზნებულობა, გაღიზიანებადობა, „აფეთქებები“, რომლებმაც შეიძლება მიიღოს აფექტის ფორმებიც. იმის გამო, რომ არტერიების დიამეტრის ზრდა გულის ზრდას ჩამორჩება, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის გავლენით სისხლის მიმოქცევა ძლიერდება, სისხლძარღვებს უჭირთ სისხლის გატარება და ტვინისათვის შეუფერხებლად მიწოდება. ამის გამო მოზარდებს ხანდახან

აღნიშნებათ სახის ძლიერი წამოწითლება ან გაფითრება, არასწორი რიტმი, ქოშინი და გახშირებული გულისცემა.

გარდამავალი ასაკის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა ადვილი დაღლაღობა, რომელიც დაკავშირებულია მოზარდის ორგანიზმის (განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემის) ანატომიურ-ფიზიოლოგიურ გარდაქმნასთან, რის გამოც მოზარდის ადვილ დაღლაღობას ხშირად იწვევს ჩვეულებრივი დატვირთვაც კი. იმ შემთხვევაში, როცა მუშაობის რეჟიმის დაცვა მოზარდისთვის ჩვეულებრივი არ გამხდარა, ნერვული ენერჯის გადახარჯვა და ადვილი დაღლაღობა მისთვის გარდაუალაია.

გარდამავალ ასაკში უმნიშვნელოდ ვითარდება ფილტვებიც, თუმცა იზრდება მათი სასიცოცხლო მოცულობა. სუნთქვა ხშირდება (18 – 22 შესუნთქვა - ამოსუნთქვა წუთში). ერთ შესუნთქვა - ამოსუნთქვაზე მოდის გულის 3 – 4 შეკუმშვა (ზრდასრულებთან, 4 – 5). მოზარდის სუნთქვა ჯერ კიდევ არაა ღრმა და ფილტვების ვენტილაცია ხდება სუნთქვის აჩქარების ხარჯზე. აუცილებელია, მოზარდი დაეუფლოს სწორი და ღრმა სუნთქვის ჩვევას, რადგან ორგანიზმის ინტენსიური ზრდის გამო, მას სჭირდება ჟანგბადის დიდი რაოდენობა.

მოზარდის ტვინი წონაში უმნიშვნელოდ იზრდება. ახალშობილის ტვინი 360 - 400 გრამს იწონის, 7 წლის ბავშვის ტვინი \_ 1300 გრამს, 15 წლის მოზარდისა \_ 1350 გრამს, ხოლო მოზარდილისა \_ 1400-1500 გრამს, მაგრამ ტვინის სტრუქტურის განვითარება მოზარდებში მიმდინარეობს ინტენსიურად. 12 წლის მოზარდთან მნიშვნელოვნად იზრდება შუბლის წილი, სრულყოფილი ხდება ნერვული უჯრედები, იცვლება მათი ფორმა და განშტოება, იზრდება ნახევარსფეროების ქერქის სხვადასხვა ნაწილების შემაერთებელ ბოჭკოთა რიცხვი, ჩამოყალიბებას იწყებს ხვეულები. შემეცნებისა და მოქმედების პროცესში მოზარდს უვითარდება ტვინის ქერქის მაღალი განყოფილებებისადმი ინსტინქტებისა და ემოციების დამორჩილების უნარი, რის საფუძველზედაც ვითარდება შეგნებული შეკავების დაწყება. მაგრამ აგზნებასა და შეკავებას შორის ჰარმონიისა და შესაბამისობის პერიოდი ჯერ არ დამდგარა. ეს იმიტომ ხდება, რომ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები ამაგზნებლად მოქმედებენ მოზარდის ნერვულ სისტემაზე, რის გამოც მოზარდი ყოველთვის ვერ ფლობს, ვერ იკავებს თავს.

გარდამავალი ასაკის მოზარდისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ენერჯის მოჭარბება და მეორე მხრივ, პათოგენური გამდიზიანებლების მიმართ აწეული მგრძნობელობა. ამის გამო, გონებრივი და ფიზიკური დაღლილობა, ხანგრძლივი ნერვული დამაბულობა, ძლიერი უარყოფითი განცდები (შიში, რისხვა, წყენა) შეიძლება ენდოკრინული და ნერვული სისტემის ფუნქციონალურ დარღვევათა მიზეზი გახდეს.

• **მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება;**

გარდამავალ ასაკში მოზარდის სასწავლო საქმიანობა არსებითად იცვლება. იგი ახლა თვითგანათლებისა და თვითსრულყოფის სახეს ღებულობს. მოზარდი ახლა უკვე ინტერესს ამჟღავნებს იმ ცოდნის მიმართ, რომელიც სასკოლო პროგრამის ფარგლებს სცილდება. ამ ასაკში ძალიან ფართოვდება სწავლის ცნება. სწავლისადმი დამოკიდებულება მკვეთრად იცვლება. სწავლის აუცილებლობის მხოლოდ გაცნობიერება და კარგად სწავლის აბსტრაქტული სურვილი არაა მოზარდის სწავლის ეფექტური და მოქმედი სტიმულები: ახლა წარმატების საფუძველია მისი ცოდნისადმი ინტერესი, ახლის შეცნობის სურვილი და მომავლისათვის სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერება. ამ თვალსაზრისით, გარდამავალ ასაკში განასხვავებენ მოზარდების ორ ჯგუფს: ა) მოზარდების ერთი ჯგუფი ავლენს გონებრივი მუშაობისადმი მტკიცე სწრაფვას, განსაზღვრული სასწავლო საგნებისადმი ინტერესს, დამატებითი ლიტერატურის კითხვით ცოდნის გაღრმავების სურვილს; ბ) ზოგიერთ მოზარდში კი ეს პირდაპირ უკავშირდება პროფესიულ ზრახვებს. ასეთი მოზარდები ემსგავსებიან ე.წ. „ნიჭიერი ზარმაცებს“, რომელთაც სასწავლო საქმიანობისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად აღენიშნებათ სასწავლო პროგრამის გარეთ რომელიმე საყვარელი საქმიანობით გატაცება. ასეთი მოზარდი გაკვეთილებზე მოწყენილია, პასიურია, უნებისყოფა, ნიშნებისადმი გულგრილია, ხოლო მისი საყვარელი საქმიანობის სფეროში აქტიურია, მიზანმიმართულია, შეუძლია ხანგრძლივად და პროდუქტიულად მუშაობა, საკუთარი თავის მიმართ მაღალ მომთხოვნელობას ამჟღავნებს, მიზნის მისაღწევად შეუძლია გარკვეული სიძნელების გადალახვაც. მოზარდების ასეთი საქმიანობა ხშირადაა დაკავშირებული სამომავლო გეგმებთან. მოზარდებში ცოდნის მიღება უკვე გვევლინება პირადი მიზნებისა და გეგმების განხორციელების საშუალებად, რაც მათ შემეცნებით და სასწავლო საქმიანობას

კარდინალურად ცვლის. იგი იქცევა თვითგანათლებად, რაც გარდამავალი ასაკის მოზარდის სასწავლო საქმიანობის ახალი და უმაღლესი ფორმაა. სწავლა ახლა მისთვის პიროვნულ აზრს ღებულობს.

მოზარდს სწავლის გაცილებით უფრო მაღალი მოთხოვნილება აქვს, ვიდრე უმცროსკლასელს. სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულება და ცოდნის შეძენის სურვილი მოზარდებში გაცილებით მაღალია. საბოლოო ანგარიშით, მოზარდი აღმოაჩენს, რომ სწავლას აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომელიც სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების მძლავრი სტიმული.

განვიხილოთ განსხვავებები, რითაც მოზარდის სასწავლო საქმიანობა განსხვავდება უმცროსკლასელისაგან. გარდამავალ ასაკში მოზარდები იწყებენ ცალკეული მეცნიერული დისციპლინების შესწავლას, ე.ი. იწყებენ მეცნიერული ცნებებისა და მიზეზ - შედეგობრივი სისტემების დაუფლებას. მართალია, უმცროსი სასკოლო ასაკის ბოლოს ასეთი საგნების სწავლება თანდათანობით შემოდის, მაგრამ სწავლების ამ სტადიაზე ეს საგნები ატარებს კონკრეტულ, აღწერით ხასიათს. რაც შეეხება გარდამავალ ასაკს, ამ პერიოდში ეს საგნები იძენენ უფრო მეტ განყენებულ შინაარსს. გარდა ამისა, სასწავლო პროგრამაში შემოდის ახალი საგნები, რომლებიც მოზარდის სასწავლო საქმიანობას უყენებს სრულიად ახალ მოთხოვნებს, ეს საგნებია: ფიზიკა, ქიმია, ალგებრა, გეომეტრია და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ თეორიული ცოდნის განსაკუთრებულ ფორმებს.

გარდამავალ ასაკში სწავლაში წარმატება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ამთავრებს მოსწავლე დაწყებით სკოლას. ამ თვალსაზრისით, მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ა) **სწავლისადმი დამოკიდებულებით.** აღინიშნება ორი პოლუსი, სწავლისადმი სერიოზული და გულგრილი დამოკიდებულება; ბ) **ზოგადი განვითარებით,** ასაკის კვალობაზე ცოდნის სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლა და ვიწრო თვალსაწიერი; გ) **ცოდნის მოცულობითა და სიმყარით.** სკოლის პროგრამის ფარგლებში საგნის სრული და ღრმა ათვისებით და ცოდნის საშუალო დონით; დ) **სასწავლო მასალის ათვისების ხერხებით.** მასალის დამოუკიდებლად და შეგნებულად ათვისების უნარით და ასეთი ხერხების სრული უქონლობით, მექანიკური ზეპირობით; ე) **სასწავლო მუშაობაში სიძნელეთა გადალახვის უნარით.** მნიშვნელოვანი მიზანსწრაფულობიდან მცირე



წინააღმდეგობის დროსაც დახმარების ძებნამდე; ვ) **ინტერესებით**. ნათლად გამოხატული შემეცნებითი ინტერესებიდან მათ სრულ უქონლობამდე.

დაწყებით კლასებში კარგი აკადემიური წარმატებების მქონე ბავშვებში ზოგჯერ არის ისეთი ნაკლი, რომელიც ამ ასაკში მათ სწავლაში ხელს არ უშლის, გარდამავალ ასაკში კი ის სწავლის ისეთ წინააღმდეგობად გადაიქცევა, რომლის დაძლევისაც სჭირდება სერიოზული ძალისხმევა. თუ ეს ნაკლი დროულად არ იქნა ლიკვიდირებული, იგი გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს. მოზარდი უძლური ხდება სულ უფრო გართულებული სასწავლო მასალის დამოუკიდებლად ათვისების საქმეში. ამიტომ მეშვიდე და მერვე კლასებში შეიძლება აღმოცენდეს დრამატული სიტუაცია: მიუხედავად იმისა, რომ მოზარდი ცდილობს კარგად ისწავლოს, სხვის დაუხმარებლად იგი ვერ ახერხებს ახალი მასალის ათვისებას, სასწავლო საქმიანობაში ხდება სხვებზე სრულიად დამოკიდებული. ამ მდგომარეობის გაცნობიერება კი მოზარდში ბადებს უკმარისობას, უარყოფით, მწვავე განცდებს.

ასეთი ინტერესების ჩამოყალიბება გარდამავალ ასაკში ქმნის გარკვეულ თავისებურებებს. მოზარდები აქტიურად და ცოცხლად ეხმაურებიან ყოველ ახალ აღმოჩენას, ფართოდ ინტერესდებიან ტექნიკით, ერთიანდებიან სხვადასხვა წრეებში, კითხულობენ სამეცნიერო პოპულარულ და ტექნიკურ ლიტერატურას, თვითონ ატარებენ ცდებს, იტაცებთ მოდელირება, რადიოსაქმე, კომპიუტერი და სხვა. ასეთი ინტერესები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო საქმიანობაში წარმატებებს, ხოლო ინტერესთა უქონლობა პირიქით, მკვეთრად სწევს დაბლა მოზარდის სასკოლო წარმატებებს. თავისებურია გარდამავალი ასაკის მოზარდთა მასწავლებლებთან დამოკიდებულება. სასწავლო საგნებისადმი დამოკიდებულება ბევრადაა დამოკიდებული **მასწავლებლისადმი დამოკიდებულებაზე**.

გარდამავალ ასაკში, თავისთავად, მასწავლებლის არც ასაკი და არც მისი მდგომარეობა მოზარდებში არ იწვევს სიმპათიასა და პატივისცემას. მოზარდის პატივისცემის დამსახურება მასწავლებელს შეუძლია მაშინ, თუ იგი ფლობს განსაზღვრულ თვისებებს. მეხუთე კლასელებს უყვართ, როცა მათ აწვდიან მყარ ჭეშმარიტებას. მასწავლებლისაგან ისინი მოითხოვენ ყოვლისმცოდნეობას. მასწავლებელმა მხოლოდ ერთხელ რომ აღიაროს,

რომ მან რაღაცა არ იცის ან კარგად არ იცის, იგი მოზარდების თვალში იმწამსვე კარგავს ავტორიტეტს.

გარდამავალ ასაკში მასწავლებლის მთავარი ამოცანაა, მოზარდებთან კარგი და მისაღები ურთიერთობის დამყარება. ეს მდგომარეობა ამ ასაკის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. მოზარდები განსაკუთრებით აფასებენ მასწავლებლის ისეთ თვისებებს, როგორც სამართლიანობა, ადამიანური ღირსებებისადმი პატივისცემა, გაგება. მოზარდები დიდად აფასებენ მასწავლებლის ცოდნას, სასწავლო მასალის გასაგებად და საინტერესოდ ახსნის უნარს, მათი დამოუკიდებელი მსჯელობების შემწყობლობას. მოზარდებს ძალიან უყვართ ის მასწავლებლები, რომლებიც მომთხოვნელობასა და სიმკაცრეს უთავსებენ სამართლიანობასა და მოსწავლეების შესაძლებლობების რწმენასთან.

აღსანიშნავია, რომ მოზარდებში თავს იჩენს **ახალი ფორმის ეგოცენტრიზმი**. მოზარდთა ეგოცენტრიზმი ხასიათდება საკუთარი უნიკალურობის განცდით, სურვილით, რომ იყვნენ თვალში საცემი, რწმენით, რომ სხვები ისევე დაინტერესებული არიან მათი პიროვნებით, როგორც თვითონ. მაგალითად, 16 წლის გოგონა, რომელსაც დაშორდა შეყვარებული, დედას ეუბნება: „შენ ვერც კი წარმოიდგენ, მე რას ვგრძნობ. შენ არასოდეს გამოგიცდია ასეთი ტკივილი“ - რითაც ამჟღავნებს საკუთარი უნიკალურობის განცდას. ზოგიერთ მოზარდში ეგოცენტრიზმი ასევე ხასიათდება საკუთარი უვნებლობის განცდით - მას არაფერი არ შეემთხვევა. ასეთი მოზარდები ხშირად სჩადიან განუსჯელ და სახიფათო საქციელს, როგორცაა ნარკოტიკების გამოყენება, მანქანის ძალიან სწრაფად ტარება, დიდი სიმაღლიდან გადმოხტომა და სხვა, რაც სამწუხაროდ, ზოგჯერ სავალალო შედეგებით მთავრდება. მოზარდებში ეგოცენტრიზმი ნორმალური მოვლენაა და უფრო ხშირია საბაზო საფეხურის მოსწავლეებში.

პიაჟეს თანახმად, ამ სტადიაზე კოგნიტური განვითარება მთავრდება, თუმცა, შეიძლება ინტელექტუალური განვითარება გაგრძელდეს ზრდასრულობაშიც. პიაჟე თვლიდა, რომ საფუძველი უკვე ჩაყრილია და აღარაა საჭირო ახალი გონებრივი სტრუქტურების განვითარება. ადამიანებს სჭირდებათ მხოლოდ ახალი ცოდნის შეძენა და უფრო რთული და დახვეწილი სქემების განვითარება.



## კვლევითი ნაწილი

როგორც ვიცით, საქართველოში ჯერ კიდევ პოპულარულია ავტორიტარული აღზრდის სტილი. მშობლების უმრავლესობა მოზარდებთან ურთიერთობისას იყენებს მკაცრ მეთოდებს, რომელიც მოიცავს ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდებს. მშობლები ძირითადად ზრუნავენ შვილის მატერიალურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე, ნაკლებად - მათ ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

აღნიშნულის გამო ხშირად მოზარდებს ექმნებათ კომუნიკაციის პრობლემები მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან.

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ შემდეგი ინსტრუმენტები:

- მშობლისა და შვილის ურთიერთობების შესასწავლი "ვარგას ტესტი";
- ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტა მოზარდებისთვის

კვლევაში მონაწილე მშობლების უმეტესობა იყო დედა. ვარგას ტესტის შედეგები გამოიყურება შემდეგნაირად.

ჯგუფები	ბავშვის მიმღებლობა - უარყოფა	კოოპერაცია	სიმბიოზი	კონტროლი	დამოკიდებულება ბავშვის წარმატებლობებისადმი
ექსპერიმენტული ჯგუფი (160 მშობელი)	მაღალი 21,87%	მაღალი 15,6%	მაღალი 28,1%	მაღალი 2,5%	მაღალი 0%
	საშუალო 71,9%	საშუალო 56,25%	საშუალო 59,3%	საშუალო 46,8%	საშუალო 21,8%
	დაბალი 9,4%	დაბალი 28,1%	დაბალი 12,5%	დაბალი 40,6%	დაბალი 65,6%

**შედეგების ინტერპრეტაცია:** გამოკითხვით მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ მშობლებში ბავშვის მიმღებლობის მაჩვენებელი ძირითადად საშუალოა, მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშობლები გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას თავიანთი შვილების მიმართ.

ცდილობენ მოიწონონ მათი ინტერესები, თუმცა უნდათ, რომ მათი შვილი იყოს წარმატებული და მოერგოს სოციუმსაც და მშობელსაც გაუწიოს ანგარიში.

კოოპერაციას რაც შეეხება აქ მაჩვენებელი საშუალოდ მაღალია, რაც ნიშნავს რომ, მშობელი ნაწილობრივ დაინტერესებას ავლენს იმის მიმართ, რაც აინტერესებს მის შვილს.

მაღალ შეფასებას აძლევს მის უნარებს, აქეზებს ბავშვის დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, ცდილობს მასთან მოიქცეს, როგორც თანასწორთან.

**სიმბიოზის შკალაშიც** მონაცემები საშუალოა. ეს ნიშნავს, რომ მშობელი ცდილობს არ დაამყაროს ფსიქოლოგიური დისტანცია ბავშვთან, ცდილობს, ყოველთვის იყოს მასთან ახლოს, დააკმაყოფილოს მისი ძირითადი მოთხოვნები, ააცილოს მას უსიამოვნებები.


კონტროლის სკალაში მშობლების 15% შვილთან ურთიერთობაში მეტისმეტად ავტორიტარულია, მისგან მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას და მას უწესებს მკაცრ დისციპლინურ ჩარჩოებს და თითქმის ყველაფერში ბავშვს თავს ახვევს საკუთარ სურვილებს.


ხოლო ბოლო ნაწილში მაღალი მაჩვენებელი საერთოდ არ გვაქვს რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვის წარუმატებლობა მშობელს მიაჩნია შემთხვევითად და სჯერა მისი.

### მოზარდებთან ჩატარებული კვლევის შედეგები


მოზარდების გამოკითხვისთვის ჩვენ ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, ანკეტირების მეთოდით, სადაც გამოვიკითხეთ 120 მოზარდი. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა თუ როგორ ხედავენ მოზარდები ურთიერთობებს ოჯახში და რა სირთულეებს აწყდებიან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 90-მა გოგომ და 30-მა ბიჭმა. ჩვენ გამოვიკითხეთ 12-დან 18 წლამდე ასაკის, სრულ ოჯახში მცხოვრები მოზარდები.

სქემა 1. ცდის პირთა განაწილება სქესის მიხედვით.







როგორც მონაცემებით ჩანს, მოზარდების უმეტესობა (60%) აცხადებს, რომ ოჯახს არ აქვს საერთო აქტივობების ტრადიცია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტორმა შეიძლება განსაზღვროს მოზარდის ურთიერთობები მშობლებთან.




როგორც დიაგრამაზე ჩანს მოზარდების 44% მიიჩნევს, რომ უფრო მეტად მისი ესმის მეგობრებს, ვიდრე ოჯახის წევრებს. შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოზარდებს აქვთ თანატოლებთან უფრო მჭიდრო კავშირი და ნდობა, ოჯახის წევრებისგან განსხვავებით.



დიაგრამაზე ჩანს, რომ მოზარდების უმეტესობა (52 რესპოდენტი) თვლის, რომ მშობლები იშვიათად ითვალისწინებენ მათ მოსაზრებას, ხოლო 45 რესპოდენტი თვლის, რომ მშობლები არასოდეს ითვალისწინებენ მათ მოსაზრებას. შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოზარდების უმეტესობა (75%) თავს დაფასებულად არ თვლის ოჯახში, რადგან მათი შეხედულებები არ არის გათვალისწინებული.



მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობას, 47%-ს ხშირად აქვს კონფლიქტი მშობლებთან საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაცავად. ვფიქრობთ, რომ მსგავსი კონფლიქტური სიტუაციები უარყოფითად აისახება მშობლისა და მოზარდის ურთიერთობებზე.



საერთო მონაცემის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოზარდების უმეტესობა (47%) მიიჩნევს, რომ პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართავს რომელიმე მშობელს, ხოლო 44% მსგავს სიტუაციაში მიმართავს მეგობარს.

ამის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მშობლებსა და მეგობარს მოზარდი თანაბრად ენდობა.

ასევე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სირთულის შემთხვევაში მშობლისგან დახმარების თხოვნა მოზარდის მხრიდან ნდობის გამოცხადებაა.

მოზარდების გამოკითხვით მიღებული პასუხები აჩვენებს რომ მათ საკმაოდ უჭირთ ემოციების გადმოცემა, ძირითადად განმარტოებულად ურჩევნიათ ყოფნა, რადგან კომუნიკაციის დამყარება უჭირთ მშობლებთან, მათი შეხედულებები სრულიად სხვადასხვაა და მშობლებს ვერ/არ უზიარებენ მოსაზრებებს. პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მათ პრობლემებს ძირითადად უზიარებენ მეგობრებს.

### დასკვნა

საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზა დადასტურდა, რომ მშობლებს და ბავშვებს აშკარად ექმნებათ პრობლემები ურთიერთობებში, თუმცა შედეგებმა, ასევე, აჩვენა რომ მშობლები ცდილობენ თავიანთ შვილებს გვერდში დაუდგნენ, თუმცა მოზარდების შეხედულებებიდან გამომდინარე ეს ხშირ შემთხვევაში არ გამოსდით ან არასწორი გზები აქვთ შერჩეული.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერკი ლ. - ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2010  
გოგიჩაიშვილი თ. - განვითარების ფსიქოლოგია, უნივერსალი, თბ. 2005  
Verduyn C., Rogers J., Wood A. – Cognitive Behaviour Therapy with Children and Young People, 2009  
Hazen E., Schlozman S. C., Baresin E. V. - Adolescent Psychological Development: A Review, 2008  
H. Thompson Prout & Alicia L. Fedewa - Counseling and Psychotherapy with Children and Adolescents Theory and Practice for School and Clinical Settings, 2015  
Richard M. Lerner, Laurence Steinberg - Handbook Of Adolescent Psychology Second Edition, 2004  
Sommers-Flanagan J, Sommers-Flanagan R. – Counseling and Psychotherapy Theories in context and practice, 2015

**Davit Katamadze**

Batumi Shota Rustaveli State University

**Ketevan Beridze**

Batumi Shota Rustaveli State University

**Rusudan Ketchakmadze**

Batumi Shota Rustaveli State University

**Shorena Meskhidze**

Batumi Shota Rustaveli State University

### **Investigating Peculiarities of Relationship between Parents and Adult**

#### **Abstract**

Our research refers to investigation of peculiarities of relationship between parents and adult. This age is very actual because during this time physiological, physical and psychological changes take place that causes changes in relationship between parents and family members. We were interested in the fact that what do the parents think about their adult children, what problems they encounter during relationship and how they try to solve the challenges. This issue is actual not only in Georgia but in the whole world, that's why we tried to study the issue deeply.

We inquired adults and parents. With the parents we used “Varga test to investigate parent and child relationship”. For the adults, according to research goals, we created questionnaire. 160 parents and 185 adults participated in the research. Our research hypothesis was the following: We suppose that parents ideas and attitudes towards children affects the relationship between parents and adult.

**Keywords:** Adulthood age, adult, parent and relationship.